



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია  
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის  
მდივნის  
განკარგულება №02-452/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა) .ი.პ.  
“ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ დამკვირვებლების  
რეგისტრაციის თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 21 ოქტომბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 78-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ვადგენ:

**მუხლი 1.** საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდნენ ადგილობრივ დამკვირვებლებად და მიენიჭოთ დამკვირვებლის სტატუსი ყველა დონის შესაბამის საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა. (ა) .ი.პ. “ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ წარმომადგენლებს, დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი